ქალაქ ბათუმის მერია

N 25/5172
04/04/2014

5172-25-2-201404042050

ჯიმსონ გურგენიძეს
მცხოვრებს ქ. ბათუმი,
კობალაძის ქუჩა #31-ში

ბატონო ჯიმსონ,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის საკონკურსო კომისიამ, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მემორიალური ბიუსტის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2014 წლის 28 თებერვალს გამოცხადებულ N 1146 კონკურსში, მიიჩნია, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, კერძოდ ნამუშევრის ვიზუალური მხარე და არქიტექტორული კონცეფცია ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე შეტყობინება გამოგზავნილი იქნება თქვენს მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არაუგვიანეს 2014 წლის 4 აპრილისა.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მერის მოადგილის მ/შ, მერის მ/შ

საქართველო, ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25. 6010,
ტელ: 0 (422) 24 63 09, ფაქსი: 0 (422) 24 63 09. www.batumi.ge, info@batumi.ge